პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 10 ნოემბერი, 1944 წ. № 226. (7179). ფასი 20 კაპ.

თუ წითელმა არმიამ შესძლო წარმატებით შეესრულებინა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე და განდევნა გერმანელები საბჭოთა მიწა-წყლის ფარგლებიდან, ეს მან იმის მეოხებით განახორციელა, რომ მას თავდადებულად ეხმარებოდა ზურგიდან მთელი ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი.

**ი. სტალინი**

## თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო **სტალინ!**

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა, დედაქალაქის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავისადმი, ქ. მოსკოვის მშრომელებისა და მოსკოვის გარნიზონის სახელით მგზნებარე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, ხალხთა დიდ ბელადს, წითელი არმიის ბრძენ მხედართმთავარს!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავს ჩვენ ვდღესასწაულობთ იმ მომენტში, როდესაც წითელმა არმიამ ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან განდევნა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები და ფაშისტური ტყვეობიდან გაათავისუფლა მილიონობით ჩვენი ძმა და და. ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა კვლავ ამაყად ფრიალებს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს მთელ სივრცეებზე.

წითელი არმია ორი წლის მანძილზე აწარმოებს ისტორიაში უმაგალითო შეტევას. იყო დრო, როდესაც მტერი მოსკოვს ემუქრებოდა. ახლა ჩვენი არმია ჰიტლერელ დამპყრობლებს ანადგურებს გერმანიის ტერიტორიაზე და გზას იკაფავს ბერლინისაკენ. იყო დრო, როდესაც მტერი ვოლგას უახლოვდებოდა. ახლა ჩვენი არმია გერმანელებს ურტყამს ნემანისა და ვისლის, ტისისა და დუნაის ნაპირებზე. წითელმა არმიამ შეასრულა თავისი წმიდა მისია ჩვენი სამშობლოს მიწა-წყლის განთავისუფლებისა და ამჟამად თავისუფლება მიაქვს ევროპის დამონებული ხალხებისათვის.

დიდება წითელ არმიას—განმათავისუფლებელს, დიდება მის მებრძოლებს, სერჟანტებს, ოფიცრებს, გენერლებსა და მარშლებს, დიდება მის გენიალურ მხედართმთავარს უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ **სტალინს!**

წითელ არმიასთან ერთად სოციალისტური სამშობლოს დასაცავად ალსდგა სსრ კავშირის ყველა ხალხი. წითელ არმიას აძლიერებს მძლავრი საბჭოთა ზურგი. თქვენი მოწოდებით, ამხანაგო **სტალინ**, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ ბოლშევიკური პარტიის გარშემო, სამხედრო ყაიდაზე გარდაჰქმნეს თავისი მუშაობა და სავსებით უზრუნველჰყოფენ ფრონტს იარაღით, საომარი მასალით, საჭურვლით და სურსათით. ჩვენი ქვეყანა ომობს და აშენებს. ომის განმავლობაში ამუშავებულია ათასობით ახალი საწარმო. აღდგენის პროცესშია მეურნეობა და ცხოვრება გერმანელ ოკუპანტთაგან გაწმენდილ ტერიტორიაზე. ბოლშევიკების პარტია, თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, აღაფრთოვანებთ ზურგის მშრომელებს უმაგალითო საგმირო საქმეებისათვის.

დიდება საბჭოთა ხალხს, დიდება ფრონტზე და საბჭოთა ზურგში გამარჯვებათა ორგანიზატორს ამხანაგ **სტალინს!**

უბოროტესი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ სამამულო ომის პირველსავე დღეებში აქედან, მოსკოვიდან, თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, წითელ არმიას, საბჭოთა ხალხს მიმართეთ სიტყვებით, რომლებიც აღსავსე იყვნენ ფაშისტ კაციჭამიებზე ჩვენი მომავალი გამარჯვების რწმენით: „ჩვენი ძალები აურაცხელია. თავგასული მტერი იძულებული იქნება მალე დარწმუნდეს ამაში".

ომის მსვლელობაში წითელი არმია გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისათვის რისხვად იქცა. მან ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან განდევნა და მის საკუთარ ბუნაგში შეაგდო დაჭრილი გერმანელი მხეცი. ჩვენს ქუჩაშიც დადგა დღესასწაული!

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კიდევ მოგვილის მძიმე ბრძოლები. გამხეცებული მტერი გააფთრებით გვიწევს წინააღმდეგობას. ამ დღეებში, როდესაც წითელი არმია გადამწყვეტ ბრძოლებს ეწევა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, ჩვენ საზეიმო ფიცსა ვდებთ თქვენს წინაშე, ამხანაგო **სტალინ:** მთელ ჩვენს ძალებს მოვანდომებთ ფრონტისადმი დახმარების საქმეს, კიდევ უფრო თავდადებით ვიშრომებთ მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს, ჩვენს მშობლიურ ამხანაგ **სტალინს!**

## მოწინააღმდეგის ზარალი და უკრაინის მე-2 ფრონტის ნადავლი 1944 წ. 6 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე წარმოებული შეტევითი ბრძოლების განმავლობაში

**უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარებმა ამა წლის 6 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე წარმოებული შეტევითი ბრძოლების განმავლობაში შემდეგი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ:

**მოსპობილია:** 416 თვითმფრინავი, 900-ზე მეტი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 1.450 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 790 ნაღმსატყორცნი, 420 ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 3.000 ავტომანქანა, 30 ორთქლმავალი, 55 რკინიგზის ეშელონი, 750 რკინიგზის ვაგონი, 40 კარჭაპი ტვირთიანად, 10 გემი, 8 ჯავშნიანი მატარებელი.

მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

ამავე ხნის განმავლობაში **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარებმა **ხელთ იგდეს** შემდეგი დავლა: 386 თვითმფრინავი, 138 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 856 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 680 ნაღმსატყორცნი, 1.795 ტყვიამფრქვევი, 49 ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 953 ავტომანქანა, 189 ორთქლმავალი, 42 რკინიგზის ეშელონი, 5.660 რკინიგზის ვაგონი, 2 ჯავშნიანი მატარებელი, 24 კარჭაპი ტვირთიანად, 286 საწყობი საომარ მასალიანად, საჭურვლიანად და სხვა სამხედრო ქონებიანად.

**ტყვედ წამოყვანილია** 42.160 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამრიგად, ტრანსილვანიისა და უნგრეთის ტერიტორიაზე **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარების შეტევითი ბრძოლების შედეგად მოწინააღმდეგის ზარალი საბრძოლო ტექნიკის მთავარი სახეებისა და ცოცხალი ძალის მხრივ შეადგენს: ტყვეთა და მოკლულთა სახით—142.160 კაცს, 802 თვითმფრინავს, 1.038 ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს, 2.306 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხს, 1.470 ნაღმსატყორცნს, 469 ჯავშანმანქანასა და ჯავშანტრანსპორტიორს, 3.953 ავტომანქანას.

**საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.**

## საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება

აღსრულდა!

საბჭოთა მიწა-წყალი განთავისუფლებულია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. ჩვენი ქვეყნის თორმეტ ქალაქში გუშინ ოცდათოხი საარტილერიო ზალპით აღინიშნა ეს უდიდესი მოვლენა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. აღტაცებითა და სიხარულით არის სავსე ჩვენი გული. ჩვენ ვოცნებობდით ამ დღეზე, ჩვენ ვიბრძოდით მისი დადგომისათვის. მისთვის გამოვიარეთ მძიმე განსაცდელი, მისთვის არის დაღვრილი ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ვაჟიშვილებისა და ქალიშვილების სისხლი. ჩვენ მივდიოდით გამარჯვებისაკენ, რომელიც გვამცნო ჩვენმა ბელადმა და მხედართმთავარმა. ახლა აღსრულდა ბელადის სიტყვა, დიდი სტალინის სიტყვა. ჩვენს ქუჩაზე დღესასწაულია. მტერი განდევნილია ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან. მან თავისი შავი სისხლით ზღო და ზღავს გიჟური ავანტიურისტული ცდისათვის — დაემორჩილებინა ჩვენი ხალხი, დაეპყრო მისი მიწა-წყალი, წაერთმია მისთვის თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მტერი თავის საზიზღარ ტყავზე ერთხელ კიდევ სწავლობს ჩვენი ისტორიის გაკვეთილს: ის, ვინც მახვილით მოდის ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, მახვილითვე იღუპება.

ჩვენი ანგარიში საზიზღარი მტრისადმი ჯერ კიდევ არ არის სავსებით ამოწურული. მტერი კიდევ იგრძნობს ჩვენი შრისხანებისა და ჩვენი შურისგების მთელ ძალას. საბჭოთა მიწა-წყლიდან ომი გადატანილია ფაშისტური გერმანიის ტერიტორიაზე. რეკავს მეთორმეტე საათი,—უკანასკნელი გამანადგურებელი დარტყმა ეს-ეს არის თავს დაატყდება მხეცის ბუნაგს. ჰიტლერელი მხეცის ბუნაგი გარშემორტყმულია ყოველი მხრიდან, და სიძულვილი მტრის ვერავითარა ხრიკი ვერ იხსნის მას უცილობელი სრული განადგურებისაგან.

სულგანაბულნი ისმენდნენ საბჭოთა ადამიანები ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავის შესახებ. ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ გამარჯვებებზე. მისმა მოხსენებამ გააშუქა ჩვენს მიერ განვლილი გზა. მან მოგვცა ჩვენი დიადი დროის ისტორიულ მოვლენათა მკაფიო ანალიზი. მან გადაგვიშალა ჩვენი წინსვლის პერსპექტივები. იგი ლაპარაკობდა ჩვენს მომავალზე. და ყველა, ვინც ბელადს უსმენდა—ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში და სამშობლოს სანაპირო კორდონზე,—მთელი სულითა და გულით, მთელი ფიქრებით ეხმაურებოდა თავის ბელადს, მამასა და მასწავლებელს. უსაზღვროა ჩვენი სიყვარული სტალინისადმი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები, რომლის გენიამაც ჩვენი ხალხი გამოატარა ომის მკაცრი გზებით და მივყევართ გერმანელ დამპყრობლებზე საბოლოო და სრული გამარჯვებისაკენ.

სტალინის მოხსენება შეჯამებაა იმ უდიდესი საქმეებისა, რომლებიც ბოლშევიკური პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით შეასრულა ჩვენმა ხალხმა. რევოლუციის ოცდამეშვიდე წლისთავი დაემთხვა სამამულო ომის მეოთხე წელს. ომის ორი წინანდელი წელი იყო გერმანელთა ჯარების შემოტევისა და ჩვენი ქვეყნის სიღრმეში მათი წინსვლის წლები, როდესაც წითელი არმია იძულებული იყო თავდაცვითი ბრძოლები ეწარმოებინა. ომის მესამე წელი ძირფესვიანი გარდატეხის წელი იყო ჩვენს ფრონტზე. იმ წელს წითელმა არმიამ გაიჩაღა მძლავრი შეტევითი ბრძოლები, დაამარცხა გერმანელები მთელ რიგ გადამწყვეტ ბრძოლებში, გერმანელთა ჯარებისაგან გასწმინდა საბჭოთა მიწა-წყლის ორი მესამედი და აიძულა გერმანელთა ჯარები თავდაცვაზე გადასულიყვნენ.

ყველა იმ წელს წითელი არმია მარტო ეწეოდა ომს, ისე რომ მოკავშირეთა მხრივ სერიოზული დახმარება არა ჰქონია. ომის მეოთხე წელსა და წინანდელ წლებს შორის ძირფესვიანი განსხვავებაა. ეს წელი იყო გერმანელთა ჯარებზე საბჭოთა არმიებისა და ჩვენი მოკავშირეების არმიების გადამწყვეტ გამარჯვებათა წელი. გერმანელები იძულებული იყვნენ ომი ეწარმოებინათ ორ ფრონტზე, და მათ სერიოზული დამარცხებანი განიცადეს. ისინი განდევნილი არიან საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, ბელგიის, შუა იტალიის ფარგლებიდან. ისინი აიძულეს გერმანიის ტერიტორიაზე იბრძოლონ. გერმანია აღმოჩნდა ორი ფრონტის მარწუხში, რისიც ესოდენ ეშინოდათ ფაშისტ ავაზაკებს.

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში დაგვიხატა ჩვენი ჯარების მიერ გერმანელთა ჯარებისათვის მიყენებულ გამანადგურებელ დარტყმათა სურათი. ასეთი დარტყმა მიმდინარე წლის ათი თვის მანძილზე ათი იყო. ამ დარტყმებს ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის უზარმაზარი ფრონტის ყველა უბანზე—ჩრდილოეთ ფინეთიდან კარპატის მთაგრეხილამდე. ამ დარტყმებს შედეგად მოჰყვა ლენინგრადის ოლქის, მარჯვენა ნაპირის უკრაინის, ყირიმისა და ოდესის, კარელია-ფინეთის საბჭოთა რესპუბლიკის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, დასავლეთ უკრაინის, მოლდავეთის სს რესპუბლიკის, საბჭოთა ბალტიისპირეთის განთავისუფლება ოკუპანტებისაგან. წითელმა არმიამ თავისი წარმატებითი ოპერაციებით აიძულა რუმინეთი, ფინეთი და ბულგარეთი გაეწყვიტათ პოლიტიკური და სამხედრო კავშირი ფაშისტურ გერმანიასთან და თავიანთი იარაღი ჰიტლერის წინააღმდეგ მიებრუნებინათ. წითელმა არმიამ გაათავისუფლა ჩვენი მოკავშირე პოლონეთის მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი, ეხმარება ჩვენს მოკავშირეებს იუგოსლავიასა და ჩეხოსლოვაკიას. მიმდინარე წლის ოპერაციების შედეგად დამარცხებული და მწყობრიდან გამოყვანილია გერმანელებისა და მათი მოკავშირეების 120-მდე დივიზია.

გმირი წითელი არმია და ჩვენი მოკავშირეების მამაცი არმიები სამუდამოდ დაუკარგავენ ჰიტლერელ ავაზაკებს მადას სხვების მიწა-წყლისადმი, სხვების სიმდიდრისადმი. გაერთიანებული ერების ჯარები აღსავსენი არიან ძალითა და გაბედულებით სისრულეში მოიყვანონ განაჩენი, რომელსაც მოუთმენლად ელოდება ყველა, ვინც წარსულში იტანჯებოდა და ახლა იტანჯება სისხლისმღვრელი გერმანიის აგრესიით.

**„ამოცანა იმაში მდგომარეობს, — ამბობს ამხანაგი სტალინი,—რომ გერმანია მომავალშიც ორი ფრონტის მარწუხში ვიყოლიოთ. ეს არის გამარჯვების გასაღები".**

ჰიტლერული გერმანია დაღუპვის პირას არის. მას ჰყავდა მძლავრი, კარგად გაწვრთნილი არმია. მის განკარგულებაში იყო მისი ვასალების მნიშვნელოვანი არმიები. იგი იყენებდა თითქმის მთელი ევროპის საწარმოო ძალებს. იგი ომში იყენებდა ყველა საშუალებასა და მეთოდს, უხეშად სთელავდა საერთაშორისო სამართალს. იგი თავისთვის ამუშავებდა მილიონობით მონას. ვილჰელმის „შეჯავშნული მუშტი" გაცილებით უფრო სუსტი იყო, ვიდრე ჰიტლერული გერმანიის სამხედრო მანქანა. ომის წარმოების პირობები ბევრ რამეში ხელსაყრელი იყო ფაშისტური გერმანიისათვის. მიუხედავად ამ პირობებისა, მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერული გერმანია თავისი ფაშისტური არმიით უფრო მძლავრი, ვერაგი და გამოცდილი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა, ვიდრე გერმანია და მისი არმიები იყვნენ ყველა წინანდელ ომში,—იგი დამარცხებულია ამ ომში, მისი საქმე წაგებულია.

საბჭოთა კავშირი ჰიტლერულ გერმანიაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. **„... საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური საფუძველი შეუდარებლად უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე მტრულ სახელმწიფოთა ეკონომიკა".** (ი. სტალინი). დიდი ლენინისა და დიდი სტალინის მიერ ოცდაშვიდი წლის წინათ შექმნილმა საბჭოთა სახელმწიფომ გამოავლინა ისეთი კოლოსალური ძალები, გამოიჩინა ისეთი თვისებანი, რომლებმაც საშუალება მისცეს ჩვენს ხალხს ღირსეულად გამოსულიყო უმაგალითო ომის მკაცრი განსაცდელიდან, გამარჯვება მოეპოვებინა ამ ომში. მეურნეობის სოციალისტური სისტემა უფრო ნაყოფიერი, მოქნილი, სრულყოფილი აღმოჩნდა, ვიდრე ჰიტლერული გერმანიის ეკონომიკა. ჩვენ ვამარცხებდით და ვამარცხებთ მტერს არა მარტო ჩვენი მეომრების უსაზღვრო მამაცობით, ბრძოლაში მათი სიმტკიცით, მათი მორალური უპირატესობით. ჩვენ ვამარცხებთ მტერს აგრეთვე ჩვენი ინდუსტრიის, ჩვენი შეიარაღების უპირატესობით, საბრძოლო ტექნიკის ხარისხით. ახლა წითელ არმიას ნაკლები კი არა, უფრო მეტი ტანკი, ქვემეხი, თვითმფრინავი აქვს, ვიდრე გერმანიის არმიას. ჩვენმა ქვეყანამ მტერზე ეკონომიური გამარჯვება მოიპოვა.

ჩვენი გამარჯვებების წყარო საბჭოთა სოციალისტურ წყობილებაში მდგომარეობს.

ჩვენმა ხალხმა ოცდაშვიდი წლის წინათ დაამხო იმპერიალისტთა ძალაუფლება და თავის ისტორიაში პირველად მიიღო შესაძლებლობა ემუშავნა თავისთვის, თავისი ცხოვრება აეგო ახალ სოციალურ საფუძველზე, ეცხოვრნა ისე, რომ არ იყვნენ ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულნი, მონები და ბატონები, არ იყოს ნაციონალური ჩაგვრა. ომში იგი იცავს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართ, ოქტომბრის რევოლუციისა, რომელმაც ახალი ეპოქა შეჰქმნა ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში. აქედან წარმოსდგება ჩვენი ხალხის ძლიერება მის შეტაკებაში ფაშიზმთან. აქედან წარმოსდგება რკინისებური ნებისყოფა, რომლითაც ჩვენმა ხალხმა გაუძლო ომის სიძნელეებს, წარუმატებლობებს მის პირველ პერიოდში, უკან დახევის სიმწარეს. აქედან წარმოსდგება დიდებული მამაცობა, რომლითაც ჩვენი ხალხი იტანს ომიანობის დროის სიძნელეებსა და გასაჭირს. აქედან წარმოსდგება ის განსაცვიფრებელი გმირობა შრომაში, რომლის მეოხებითაც ფრონტი იღებდა და იღებს ყოველივეს, რაც ესაჭიროება მას ბრძოლისა და გამარჯვებისათვის. აქედან წარმოსდგება ის მაღალი მორალური დონე, ის საუცხოო სულიერი აღფრთოვანება, რომლებითაც აღნიშნულია საბჭოთა ზურგის ცხოვრება და შრომა.

სამამულო ომში ჩვენმა ხალხმა ჩაიდინა ისეთი საგმირო საქმეები, რომლებმაც მას გმირი ხალხის სახელი მოუხვეჭეს. რა სიყვარულითა და გულთბილობით ლაპარაკობს ამხანაგი სტალინი მუშებზე, რომლებიც მთელ თავიანთ ძალებს ახმარებენ გამარჯვების საქმეს, ინტელიგენტებზე, რომელთაც ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ამ საქმეში, კოლმეურნეებზე, რომლებიც ეხმარებიან წითელ არმიას იომოს და დაამარცხოს მტერი! რა მამობრივი ალერსია სტალინის სიტყვებში საბჭოთა ქალების, სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობის შესახებ, რომლებიც აღმოჩნდნენ ომიანობის დროის მოთხოვნათა სიმაღლეზე, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ძირითადი სიმძიმე ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომისა.

**„ზურგში საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობის, ისევე როგორც ფრონტზე ჩვენი მეომრების უკვდავი საბრძოლო გმირობის წყაროა მხურვალე და ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი".** (ი. სტალინი).

საბჭოთა პატრიოტიზმი თავისი ბუნებით მაღალი და კეთილშობილურია. მას საფუძვლად არ უდევს არც რასობრივი, არც ნაციონალისტური ცრურწმენა. ხალხის ღრმა ერთგულება თავისი საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მშრომელთა ძმური თანამეგობრობა—აი მისი საფუძველი. საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად არის შეხამებული საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და ყველა მშრომელთა საერთო სასიცოცხლო ინტერესები. იგი კი არ სთიშავს, არამედ, პირიქით, ერთიან ძმურ ოჯახად აკავშირებს ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას. საბჭოთა ადამიანს უყვარს თავისი სამშობლო, უყვარს თავისი ხალხი. მაგრამ ამავე დროს იგი პატივისცემით ეპყრობა საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა უფლებებსა და დამოუკიდებლობას. მისთვის უცხოა რასობრივი ან ნაციონალური უპირატესობის ქადაგება. ფაშიზმის კაცთმოძულე რასობრივი თეორია უპირისპირდება ჩვენს მორალურ კოდექსს. გერმანელ ფაშისტთა მხეცური ნაციონალიზმი ჩვენში ზიზღის გრძნობას იწვევს. ჩვენ ვამარცხებთ მტერს ჩვენი მსოფლმხედველობის უპირატესობით. ჩვენ გაცილებით უფრო ძლიერი ვართ მასზე. რასობრივი სიძულვილის იდეოლოგია და პოლიტიკა წარმოადგენს ფაშისტური სახელმწიფოს შინაგანი სისუსტის ერთ-ერთ ფაქტორს, ჰიტლერული ავაზაკური ბლოკის დაშლის ერთ-ერთ ფაქტორს.

**„ომის მსვლელობაში ჰიტლერელებმა არა მარტო სამხედრო დამარცხება განიცადეს, არამედ მორალურ-პოლიტიკურიც. ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულმა ყველა რასისა და ერის თანასწორუფლებიანობის იდეოლოგიამ, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიამ სრული გამარჯვება მოიპოვა ჰიტლერელთა მხეცური ნაციონალიზმისა და რასობრივი სიძულვილის იდეოლოგიაზე.**

**ახლა, როდესაც სამამულო ომი ძლევამოსილი დასასრულისაკენ მიდის, მთელი სიდიადით იჩენს თავს საბჭოთა ხალხის ისტორიული როლი. ახლა ყველა აღიარებს, რომ საბჭოთა ხალხმა თავისი თავდადებული ბრძოლით იხსნა ევროპის ცივილიზაცია ფაშისტ დამრბევთაგან. ეს არის საბჭოთა ხალხის დიდი დამსახურება კაცობრიობის ისტორიის წინაშე".** (ი. სტალინი).

საბჭოთა ხალხი ჰიტლერულ გერმანიასთან ბრძოლაში თავისუფლებისმოყვარე ერებთან ხელიხელჩაკიდებული მიდის. გასული წელი იყო წელი გერმანიის საწინააღმდეგო კოალიციის საერთო საქმის გამარჯვებისა, რისთვისაც საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხები საბრძოლო კავშირში გაერთიანდნენ. ეს იყო ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საომ ძირითადი სახელმწიფოს ერთიანობის განმტკიცებისა და მოქმედების შეთანხმებულობის წელი. ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები სტალინის განცხადებას სამი დიდი სახელმწიფოს შეხედულებათა ერთიანობასა და მოქმედების შეთანხმებულობაზე. მოკავშირეთა დიდი სამხედრო ოპერაციების გეგმები სისრულითა და სიზუსტით ხორციელდება. თეირანის კონფერენციაზე გამომუშავებულმა გეგმამ გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი დარტყმის შესახებ სრული და ზუსტი განხორციელება ჰპოვა წლევანდელი საომარი ოპერაციებით. გერმანიის გარემოცვა ფრონტის რკინისებური რკალით ამ ერთობლივი ოპერაციების შედეგია.

გაერთიანებულ ერთა ფრონტის სიმტკიცის ასეთივე მაჩვენებელია დუმბარტონ-ოქსის კონფერენციის გადაწყვეტილებებიც ომის შემდეგ უშიშროების ორგანიზაციის შესახებ. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ უშიშროების საკითხთა ცხრა მეათედი ამ კონფერენციაზე სრული ერთსულოვნების სულისკვეთებით გადაწყდა. მოკავშირეთა ფრონტის განმტკიცების კიდევ უფრო მკაფიო მაჩვენებელია დიდი ბრიტანეთის მთავრობის მეთაურ ბ-ნ ჩერჩილთან და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ იდენთან მოსკოვში ამას წინათ შემდგარი მოლაპარაკება, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში და სრული ერთსულოვნების სულისკვეთებით ჩაიარა.

ჰიტლერელთა მთელმა ცდებმა — გაეთიშათ და ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ გაერთიანებული ერები, გამოეწვიათ მათ შორის ეჭვიანობა და შუღლი, შეესუსტებინათ მათი სამხედრო ღონისძიებანი ურთიერთუნდობლობით, ხოლო თუ მოხერხდებოდა—ერთმანეთთან ბრძოლითაც,—სრული კრახი განიცადა. დიპლომატიურ ფრონტზე ჰიტლერელებმა ისეთივე დამარცხებანი განიცადეს, როგორსაც ბრძოლის ველებზე განიცდიან. ეს დამარცხებანი მოწმობენ სამი დიდი სახელმწიფოს კავშირის სიმტკიცეს. ამ კავშირს საფუძვლად უდევს არა შემთხვევითი და წარმავალი მოტივები, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობისა და ხანგრძლივი ინტერესები. გაერთიანებულ ერთა მთელი პოლიტიკა ამ ინტერესთა შეგნებიდან და გაგებიდან გამომდინარეობს. დიდ დემოკრატიულ ქვეყნებთან ჩვენი მეგობრობა სისხლით არის შედუღაბებული.

**„შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ თუ დემოკრატიულ სახელმწიფოთა საბრძოლო კავშირმა სამ წელიწადზე მეტი ხნის ომის განსაცდელს გაუძლო და თუ იგი განმტკიცებულია თავიანთი თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად დარაზმულ ხალხთა სისხლით, მით უფრო მეტად გაუძლებს ეს კავშირი ომის საბოლოო სტადიის განსაცდელს".** (ი. სტალინი).

ამხანაგ სტალინის მოხსენებაში ნაჩვენებია საშუალებანი, თუ როგორ უნდა იქნას თავიდან აცილებული აგრესია გერმანიის მხრივ, ნაჩვენებია გზა თუ როგორ შეიქმნას მშვიდობიანობის დაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის ეფექტიური საერთაშორისო ორგანიზაცია მშვიდობისმოყვარე ერების წარმომადგენელთაგან.

ჰიტლერული გერმანიის განადგურება მშვიდობიანობისა და უშიშროების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა. თავიდან უნდა იქნას აცილებული გერმანელი იმპერიალისტების მხრივ ახალი აგრესიის ოდნავი შესაძლებლობაც კი.

ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენება აიარაღებს ჩვენს ხალხს იმ მომენტში, როცა ომი თავის დასასრულს უახლოვდება. უბრალო და ღრმა სტალინურ სიტყვებში უდიდესი მამობილიზებელი ძალაა. ეს სიტყვები ჩასწვდა ყოველი მებრძოლის და მეთაურის, მუშის, გლეხის, ინტელიგენტის შეგნებასა და გულს. ამ სიტყვებს მძლავრად, ერთსულოვნად გამოეხმაურა ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელი, ყველა პატრიოტი. ეს სიტყვები ხორცს შეისხამენ პრაქტიკული მოქმედებით. მუშები, გლეხები და ინტელიგენცია თავიანთ საყვარელ ბელადს უპასუხებენ შრომის ფრონტზე თავიანთი ძალ-ღონის დაძაბვით. მებრძოლები და მეთაურები თავიანთი გენიალური მხედართმთავრის ბრძანებისამებრ კიდევ უფრო სრულყოფენ თავიანთ იარაღსა და ოსტატობას, რათა უკანასკნელი დარტყმა მიაყენონ მტერს.

გერმანელ ავაზაკთაგან გაწმენდილია საბჭოთა მიწა-წყალი, თავისუფალია მთელი ჩვენი მიწა-წყალი, — ეს მილიონობით საბჭოთა ადამიანის სიხარული და ბედნიერებაა. ეს შრომასა და ბრძოლაში მათი ენტუზიაზმის წყაროა.

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ი. ბ. სტალინის 1944 წლის 7 ნოემბრის ისტორიულ ბრძანებაში დასახულია საბრძოლო ამოცანა: **„წითელმა არმიამ და ჩვენი მოკავშირეების არმიებმა დაიკავეს საწყისი პოზიციები გერმანიის სასიცოცხლო ცენტრების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის. ამჟამად ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაერთიანებულ ერთა არმიების სწრაფი შეტევით უმოკლეს ვადაში გავანადგუროთ ჰიტლერული გერმანია".**

წითელი არმია თავისი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ბრძნული წინამძღოლობით ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად დაამთავრებს გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების საქმეს, მოსპობს ფაშისტ მხეცს მის ბუნაგში და გამარჯვების დროშას აღმართავს ბერლინში.

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს, დიდ სტალინს!

**„პრავდის" 8 ნოემბრის მოწინავე**



ნორჩ პიონერთა პარადი თბილისში ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 1944 წლის 7 ნოემბერს

ფოტო ვლ. განზბურგისა

საქართველოს ცენტრალური ბიბლიოთეკა

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 7 ნოემბრის ოპერატიული ცნობა

7 ნოემბრის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

6 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლების შედეგად დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 15 ტანკი.

## 8 ნოემბრის ოპერატიული ცნობა

8 ნოემბრის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

7 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლების შედეგად დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 14 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი.

## 9 ნოემბრის ოპერატიული ცნობა

9 ნოემბრის განმავლობაში მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები მეზეჩატი, იგრიცი, ზელეი, მეზოკერესტეში, სენტიშტვანი, ეგერფარმოში, მეზეტარკანი, ბეშენიეტელეკი, პოროსლო, კემლე, ტისანანა, კიშკერე, ბეშენსეგი, რეკაში, ცეგლედ-ბერცელი, ირშა, ალბერტი და რკინიგზის სადგურები მეზეჩატი, პოროსლო, კიშ-კერე, ირშა.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

8 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლების შედეგად, დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 19 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 18 თვითმფრინავი.

* * *

უნგრეთში, მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა, ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. ნ შენაერთის ნაწილებმა გადალახეს მდინარე ტისა და ხელთ იგდეს პლაცდარმი მის დასავლეთ ნაპირზე. გერმანელები ცდილობდნენ მდინარეში გადმოეყარათ ჩვენი ჯარები და ზედიზედ რვა კონტრიერიში მოიტანეს. საბჭოთა ქვეითებმა და არტილერისტებმა მტრის კონტრიერიშები მოიგერიეს, წინ წაიწიეს 20 კილომეტრით და დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტი მეზეტარკანი. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა მდინარე ტისა გადალახეს და ბრძოლებით მიიწევენ დასავლეთისაკენ. განადგურებულია უნგრელთა 27-ე ქვეითი პოლკი, რომელმაც ორი დღის ბრძოლებში თავისი პირადი შემადგენლობის სამი მეოთხედი დაჰკარგა. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები მოხდა ქალაქ ცეგლედის ჩრდილო-დასავლეთით. მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდმა დაჯგუფებამ სცადა ზურგიდან შემოევლო ჩვენი ჯარებისათვის. მტრის ეს განზრახვა სავსებით ჩაიფუშა. საბჭოთა ნაწილებმა გერმანელებს ძლიერი კონტრდარტყმა მიაყენეს და უკუაქციეს ისინი. ბრძოლის ველზე დარჩა მოწინააღმდეგის ჯარისკაცთა და ოფიცერთა ათასზე მეტი გვამი. დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 14 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. ტყვედ წამოყვანილია 800 გერმანელი და უნგრელი.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი სხვადასხვა უბანზე ცდილობდა ჩვენი პოზიციები დაეზვერა. საბჭოთა მებრძოლებმა ნაღმსატყორცნებისა და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჰფანტეს ჰიტლერელები და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მათ. ერთ უბანზე ჩვენი მზვერავების ჯგუფი ღამით შეიჭრა გერმანელების განლაგებაში. მამაცმა მებრძოლებმა მოწინააღმდეგის ხანგრძლივი საცეცხლე წერტი და ორი ბლინდაჟი ააფეთქეს. იქ მყოფი გერმანელები მოსპობილ იქნენ. მზვერავებმა ხელთ იგდეს დავლა და თავის ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ უჟგოროდის სამხრეთ-დასავლეთით, მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა, არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ, სცადა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. საბჭოთა ქვეგანაყოფებმა სწრაფი კონტრიერიში მიიტანეს ჰიტლერელებზე და უკუაქციეს ისინი. მოსპობილია მტრის 80 ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია 30 ტყვე. სხვა უბანზე ჩვენმა არტილერისტებმა რამდენიმე საცეცხლე წერტი ჩაახშეს და გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი გაჰფანტეს.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის ხომალდებმა გერმანელთა წყალქვეშა ნავი ჩასძირეს.

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციის მფრინავებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის ტრალერზე და ჩასძირეს იგი.

* * *

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის მოხსენებამ და ბრძანებამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავის შესახებ უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წითელარმიელთა, წითელფლოტელთა, სერჟანტთა, ოფიცერთა და გენერალთა შორის. ზურგის და ფრონტისპირა გარნიზონებში, აგრეთვე ფრონტის მრავალ უბანზე გაიმართა მასობრივი კრებები, მიტინგები და ჯგუფური საუბრები.

ბელორუსიის მე-3 ფრონტზე, ნ გვარდიული ნაწილის მიტინგზე, სიტყვა წარმოსთქვა მაიორმა ზავიალოვმა: „1941 წელს,—ამბობს იგი,—ჩვენ 7 ნოემბერს სერპუხოვის რაიონში ვხვდებოდით. იმ დროს მტერი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს—მოსკოვს ემუქრებოდა. ჩვენ განვდევნეთ ჰიტლერელები ჩვენი მიწა-წყლიდან და ახლა დიდი ოქტომბრის რევოლუციის წლისთავს გერმანელთა ტერიტორიაზე ვდღესასწაულობთ. წითელმა არმიამ და ჩვენი მოკავშირეების არმიებმა საწყისი პოზიციები დაიკავეს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ გადამწყვეტი დარტყმისათვის. მომავალ ბრძოლებში ჩვენ კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობითა და მამაცობით ვიომებთ. გამოვთქვამ რა ბატალიონის მებრძოლთა და ოფიცერთა ნება-სურვილს, პირობას ვიძლევი, რომ ჩვენი გვარდიელები ღირსეულად და ბოლომდე შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე".

ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტზე, მიტინგზე გამოსულმა წითელარმიელმა აბდულა ოსნობაიმ სთქვა: „ბრძნულ სტალინურ სიტყვებს რომ ისმენ, ახალი ძალისა და ენერგიის მატებას გრძნობ. წითელი არმია უკვე ანადგურებს გერმანელებს შორს ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ. ჩვენი ფრონტის ჯარები მუსრს ავლებენ გერმანელთა დივიზიებს ტუკუმსსა და ლიბავას შუა. პირობას ვაძლევთ ჩვენს საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ გავჟლიტთ ჰიტლერელებს, ცოცხალს არ გავუშვებთ მათ საბჭოთა ბალტიისპირეთიდან".

უკრაინის 1-ლ ფრონტზე, ნ ნაწილში გამართულ მიტინგზე, გამოვიდა სერჟანტი კომაროვი. მან განაცხადა: „ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ გაათავისუფლა საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელი დამპყრობლებისაგან. ჩვენი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის წინამძღოლობით ჩვენ იერიშს მივიტანთ გერმანიაზე და მოვსპობთ მტერს მის საკუთარ ტერიტორიაზე". რადიოთი ამხანაგ სტალინის მოხსენება რომ მოისმინეს, ნ ნაწილის სნაიპერები ამხ. პროკოპჩუკი, გრიმჩუკი, გევაკი, რასტინგენოვი ცეცხლის პოზიციებზე გავიდნენ და ერთი ღამის განმავლობაში 19 ჰიტლერელი მოსპეს. მზვერავმა ამხ. მანგურინკომ 6 ნოემბერს ღამით ტყვედ წამოიყვანა გერმანელი მეტყვიამფრქვევე თავის იარაღიანად.

ნ ნაწილის მებრძოლები და ოფიცრები (უკრაინის მე-4 ფრონტი) მიტინგზე შეიკრიბნენ ჩეხოსლოვაკიაში, მთების პატარა ხეობაში. პირველმა სიტყვა აიღო ზემდეგმა კოვალჩუკმა. „გასულ წელს,—სთქვა მან,—წითელმა არმიამ გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა ჰიტლერელებს. ჩვენი ნაწილის მებრძოლები ანადგურებდნენ და ჟლიტდნენ გერმანელ ოკუპანტებს კიშინიოვ-იასის რაიონში, როდესაც საბჭოთა ჯარები გარს შემოერტყნენ გერმანელთა 22 დივიზიას. ჩვენმა ბატალიონმა ბრძოლებით გადალახა კარპატის მთაგრეხილი. ჩემი ოცეულის მებრძოლებმა 150 გერმანელი გაჟლიტეს, ხოლო მტრის 200 ჯარისკაცი ტყვედ წამოიყვანეს. ამხანაგ სტალინის ბრძანებით აღფრთოვანებულნი, ჩვენ ისეთ დარტყმებს დავატეხთ თავს საძულველ მტერს, რომ ვერასოდეს წელში ვეღარ გასწორდეს".

უკრაინის მე-2 ფრონტზე, ნ ნაწილის მიტინგზე, მკაფიო სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის გმირმა ლეიტენანტმა ჩერნიხმა. მან სთქვა: „მთელ ჩვენს ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში გაისმა ჩვენი ბელადისა და დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხმა. მის მოხსენებაში შეჯამებულია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ხალხისა და წითელი არმიის შესანიშნავ გამარჯვებათა შედეგები. ყველა ამ გამარჯვებას ჩვენ უწინარეს ყოვლისა ამხანაგ სტალინს უნდა ვუმადლოდეთ. წითელი არმიის წინაშე დასახულია საბრძოლო ამოცანა—მოკავშირეთა არმიებთან ერთად დაამთავროს ფაშისტი მხეცის განადგურება მის საკუთარ ბუნაგში. ვიცით, რომ ეს ძალთა ახალ დაძაბვას მოითხოვს. ნაწილის მებრძოლთა, სერჟანტთა და ოფიცერთა სახელით პირობას ვაძლევ ამხანაგ სტალინს, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ დაკისრებულ ამოცანას".

## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა მიღება მოაწყო

7 ნოემბერს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის გამო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა მიღება მოაწყო დიპლომატიური კორპუსისათვის. მიღებას დაესწრნენ: ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ტ. ლი, უცხოეთის საელჩოებისა და მისიების მეთაურები და პასუხისმგებელი დიპლომატიური თანამშრომლები, სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ატაშეები და მათი თანაშემწეები, სამხედრო მისიების უფროსები და წევრები.

მიღებას დაესწრნენ აგრეთვე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. მ. შვერნიკი, ა. ი. მიქოიანი, ა. ს. შჩერბაკოვი, ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის სახალხო კომისრები — ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, ა. ი. შახურინი, ვ. ა. მალიშევი, ბ. ლ. ვანიკოვი, დ. ფ. უსტინოვი, ი. ტ. ტევოსიანი, მ. გ. პერვუხინი, ა. გ. ზვერევი, ქ. ი. სერგეიჩუკი, ს. ა. აკოფოვი, ა. ი. ეფრემოვი, ვ. ვ. ვახრუშევი, ს. ზ. გინზბურგი და სხვები, სსრ კავშირის პროკურორი კ. პ. გორშენინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეები — ვ. გ. დეკანოზოვი, ს. ა. ლოზოვსკი, მ. მ. ლიტვინოვი, ი. მ. მაისკი, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი დ. ზ. მანუილსკი, არტილერიის მთავარი მარშალი ნ. ნ. ვორონოვი, ავიაციის მთავარი მარშალი ა. ა. ნოვიკოვი, ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი ი. ნ. ფედორენკო, ავიაციის მარშალი ფ. ა. ასტახოვი, ავიაციის მარშალი ს. ფ. ჟავორონკოვი, საინჟინრო ჯარების მარშალი მ. პ. ვოროზიოვი, ადმირალი ლ. მ. გალერი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, თავდაცვის სახალხო კომისარიატის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე მეცნიერები, მწერლები, არტისტები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

# მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის დღესასწაულისადმი

6 ნოემბერს კრემლის სასახლის დიდ დარბაზში შესდგა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და წითელი არმიის წარმომადგენლებთან, სტახანოველებთან და საბჭოთა ინტელიგენციასთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისადმი.

სამი ათას კაცს შორის, რომლებმაც კრემლის სასახლის დიდებული დარბაზი აავსეს, არიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სახალხო კომისრები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, წითელი არმიის გენერლები და ოფიცრები, პარტიული და საბჭოთა აქტივი, მრეწველობისა და ტრანსპორტის მეთაურები, შრომითი სიმამაცით სახელგანთქმული სტახანოველები, გამოჩენილი მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები.

19 საათზე პრეზიდიუმში გამოჩნდება ამხანაგი სტალინი. მასთან ერთად შემოდიან მისი მებრძოლი თანამოსაგრეები—პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. დარბაზში მყოფნი, ყველანი უკლებლივ, ფეხზე დგებიან. გრძნობები, რომლებითაც გამსჭვალულია ყოველი მათგანი, გამოხატულებას პოულობენ აღფრთოვანებული ოვაციით, მხურვალე და მღელვარე მისალმებებით.

— გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!

— დიდება ამხანაგ სტალინს!

— ვაშა დიდ სტალინს!

უბრალოდ და გულითადად, მამაბრივი სიყვარულით მიესალმება ამხანაგი სტალინი საზეიმო სხდომის მონაწილეთ, მეგობრული ტაშით უპასუხებს მათ. ყველას ესმის, რომ მათი სახით ამხანაგი სტალინი მიესალმება მთელ საბჭოთა ხალხს— ფრონტის გმირებს, ფაბრიკა-ქარხნების, საკოლმეურნეო ყანებისა და მეცნიერების გმირებს. ეს ახალ აღფრთოვანებას იწვევს ადამიანებში. კიდევ უფრო ძლიერ ჰქუხს ოვაცია, დარბაზის ყოველ კუთხეში გაისმის მისალმება, რასაც ათასობით დამსწრე „ვაშა" შეძახილით ეხმაურება.

ბოლოს, დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, მიქოიანი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი, შჩერბაკოვი, ვოზნესენსკი, პრონინი იკავებენ ადგილს პრეზიდიუმში. ლოჟებში არიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები.

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. პრონინი საზეიმო სხდომას გახსნილად აცხადებს. წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. პოპოვს.

ამხ. პოპოვს წინადადება შეაქვს არჩეულ იქნას საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმი.

— ამხანაგი სტალინი!

ბელადის სახელი, რომელიც ჩვენი ხალხის საბრძოლო ერთიანობისა და დიად გამარჯვებათა ცოცხალი სიმბოლო გახდა, ძლიერ ოვაციას იწვევს. ყველანი ფეხზე დგებიან, რათა კვლავ მიესალმონ ამხანაგ სტალინს, განუცხადონ მას საყოველთაო-სახალხო სიყვარული და მადლობა.

შემდეგ საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით ირჩევენ ამხანაგებს მოლოტოვს, კალინინს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, ანდრეევს, მიქოიანს, ჟდანოვს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს, მალენკოვს, შჩერბაკოვს, ვოზნესენსკის.

ამხანაგ სტალინის მებრძოლ თანამოსაგრეთა სახელებს მხურვალე ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან.

ამხ. პრონინი აცხადებს:

— დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ სტალინს.

ამხანაგი სტალინი ტრიბუნისაკენ მიდის. მას უმაგალითო ძალის ოვაციით ეგებებიან. ყველანი ფეხზე დგებიან, განსაკუთრებული გულთბილობითა და გულწრფელობით მიესალმებიან ბელადს.

ტაშის გრიალში გაისმის შეძახილი, რომელსაც მძლავრი „ვაშა" ჰფარავს:

— გაუმარჯოს უმაღლეს მთავარსარდალს ამხანაგ სტალინს!

როცა ქარიშხლისებური ოვაცია მიწყნარდა, დარბაზში დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. დამსწრენი სულგანაბული არიან, რათა მათ სმენას არ გამოეპაროს სტალინის მოხსენების არც ერთი სიტყვა, არც ერთი ინტონაცია.

ამხანაგი სტალინი ლაპარაკობს როგორც ყოველთვის დინჯად, უბრალოდ, მტკიცედ, უაღრესად ნათლად, ყოვლისმძლე და შთამაგონებელი დარწმუნების ძალით. მას რომ უსმენენ, ადამიანები თითქოს კვლავ განიცდიან გასული წლის ამბებს, თითქოს ახლებურად იაზრებენ და აფასებენ თავიანთი ბრძოლისა და შრომის დიდ ისტორიულ მნიშვნელობას.

პატრიოტული სიამაყის კანონიერი გრძნობით იღებენ სხდომის მონაწილენი მის სიტყვებს იმის შესახებ, რომ წითელმა არმიამ ღირსეულად შეასრულა თავისი ვალი და მტრისაგან გაათავისუფლა ჩვენი სამშობლო.

— ამიერიდან და სამუდამოდ,—ამბობს იგი, — ჩვენი მიწა-წყალი თავისუფალია ჰიტლერული სიბილწისაგან.

ომის პირველი დღიდანვე, ამ ომის ყველაზე მძიმე და მწვავე პერიოდებში, საბჭოთა ადამიანებმა მტკიცედ და ურყევად იცოდნენ და სჯეროდათ, რომ დადგებოდა დრო, როცა ისინი მოისმენდნენ ამ სტალინურ სიტყვებს გამარჯვების შესახებ. და აი ის დრო დადგა, ხალხი არ შემცდარა თავის სანუკვარ იმედებში.

დიდია წითელი არმიის მიერ მოპოვებული გამარჯვებანი. მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ამხანაგი სტალინი მოგვაგონებს, რომ წითელ არმიას რჩება თავისი უკანასკნელი საბოლოო მისია—ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად დაამთავროს გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების საქმე, მოსპოს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროშა აღმართოს ბერლინში.

ამ დიადი მიზნისათვის საბჭოთა ხალხი არ დაიშურებს თავის ძალებს—ასეთ ფიცს იძლევა გულში ყველა, ვინც ისმენს ბელადის ამ სიტყვებს.

ამხანაგი სტალინი წარმოსთქვამს:

— გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას!

— გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

— გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა ხალხს!

— გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს!

— სიკვდილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს!

ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმულ მოწოდებებს ყველა დამსწრენი იმეორებენ. ყველანი ფეხზე დგებიან და ამხანაგ სტალინს ტრიბუნიდან მიაცილებენ ხანგრძლივი ტაშით და მისალმების შეძახილებით.

წინადადება შემოდის — მიღებულ იქნას მისალმება ამხანაგ სტალინისადმი. მისალმების ტექსტს კითხულობს საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პავლიუკოვი. მისალმებაში გამოთქმულია ის, რასაც გრძნობს და განიცდის ამჟამად მილიონობით საბჭოთა ადამიანი. ის გრძნობები კვლავ გამოხატულებას პოულობენ ხანგრძლივი ოვაციებით, რომლებითაც სხდომის მონაწილენი არაერთხელ აწყვეტინებენ მისალმების კითხვას. ყველანი უკლებლივ ფეხზე დგებიან და დიდხანს აღტაცებით უკრავენ ტაშს. დიდი სიყვარული და ერთგულება უბრწყინავთ ადამიანებს ამხანაგ სტალინისადმი მიპყრობილ თვალებში. გუგუნით არ ცხრება მისალმების შეძახილები, „ვაშა", ტაში—ხალხის გრძნობათა მხურვალე მანიფესტაცია.

ამხ. პრონინი საზეიმო სხდომას დახურულად აცხადებს.

ამხანაგი სტალინი გულთბილად ემშვიდობება სხდომის მონაწილეთ. მას და მის მებრძოლ თანამოსაგრეებს — პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს — მიაცილებენ ხანგრძლივი ტაშით და მისალმების შეძახილებით.

დამსწრენი სტოვებენ დარბაზს, დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით გამსჭვალულნი და ჩვენი სამართლიანი საქმის მალე გამარჯვების მტკიცე რწმენით აღსავსენი. (საკდესი).

# უცხოელი პოლიტიკური მოღვაწეების მოლოცვები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით

## მის აღმატებულებას მიხეილ კალინინს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ამ ნაციონალურ წლისთავზე დიდი სიამოვნებით მოგესალმებით თქვენ და საბჭოთა კავშირის ხალხს. ამ გადამწყვეტ მომენტში, როცა წითელი არმია და შეერთებული შტატებისა და სხვა გაერთიანებულ ერთა არმიები ბრძოლებს ეწევიან გერმანიის მიწა-წყალზე, ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო მეტი რწმენით ველოდეთ, რომ ნაცისტ აგრესორებს მალე დავამარცხებთ და მივაღწევთ ჩვენს საერთო მიზანს — მტკიცე და სამართლიან ზავს და ყველა გაერთიანებულ ერთა შორის მჭიდრო თანამშრომლობის განგრძობას.

ფრანკლინ დ. რუზველტი

## წითელი არმიის უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს ი. ბ. სტალინს

ნება მიბოძეთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის ოცდამეშვიდე წლისთავის გამო იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისა და ხალხთა სახელით გულითადი მოლოცვა და მგზნებარე ძმური სალამი გიძღვნათ.

იუგოსლავიის ხალხები და სახალხო-განმათავისუფლებელი არმია ამ დიადი დღესასწაულის გამო გამსჭვალული არიან სიხარულისა და საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებისადმი უდიდესი მადლობის გრძნობით.

ოცდაშვიდი წლის წინათ ბოლშევიკების დიადი საკავშირო კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, დიდი ლენინის მეთაურობით აურაცხელი მსხვერპლის გაღებით თქვენმა ხალხებმა მძლავრი საბჭოთა კავშირი შეჰქმნეს.

თქვენი გენიალური წინამძღოლობით დღეს საბჭოთა ხალხები და სახელოვანი წითელი არმია ზეადამიანური ღონისძიებებით ათავისუფლებენ გერმანული ფაშისტური მონობისაგან ევროპის ხალხებს.

გაუმარჯოს დიდი სოციალისტური რევოლუციის ოცდამეშვიდე წლისთავს!

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი მთავარსარდალი იუგოსლავიის მარშალი ი. ბ. ტიტო.

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოთა კავშირის მარშალს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

დიდი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის ოცდამეშვიდე წლისთავთან დაკავშირებით, საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელიც გმირი წითელი არმიის მძლავრი დარტყმებით ამჟამად ანადგურებს მთელი კაცობრიობის უბოროტეს მტერს — ჰიტლერულ ფაშიზმს,— კრაიოვა რადა ნაროდოვა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი უაღრესად მხურვალე, გულითად სალამს გითვლიან თქვენ, საბჭოთა კავშირის ბელადს, დიდი განმათავისუფლებელი არმიის უმაღლეს მთავარსარდალს.

კრაიოვა რადა ნაროდოვა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი საუკეთესო სურვილებს უთვლიან მთელ საბჭოთა ხალხს, რომელსაც თავიანთ განთავისუფლებას უმადლიან ევროპის დაჩაგრული ერები და პირველ რიგში ჩვენი მრავალტანჯული პოლონელი ხალხი.

საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ველებზე ერთად დაღვრილი სისხლი და ყოველმხრივი ძმური დახმარება, რასაც საბჭოთა კავშირი აღორძინების პროცესში მყოფ პოლონეთის სახელმწიფოს უწევს, სამარადისოდ განამტკიცებენ ურღვევ მეგობრობას სსრ კავშირისა და პოლონეთის ხალხებს შორის.

კრაიოვა რადა ნაროდოვას თავმჯდომარე — ბერუტი

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე — მორავსკი

ლიუბლინი, 1944 წლის, 5 ნოემბერი.

## უცხოელ პოლიტიკურ მოღვაწეთა მოლოცვები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით მიღებულია მილოცვები:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კალინინის სახელზე—ეგვიპტის მეფე ფარუკისა და კრაიოვა რადა ნაროდოვას თავმჯდომარე ბ-ნ ბერუტისაგან; მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ მანუელ ავილა კამიჩოსაგან, ნორვეგიის მეფე ჰააკონისაგან, ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგინისაგან, საბერძნეთის მეფე გეორგ II-საგან, იუგოსლავიის მეფე პეტრე II-საგან;

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის სახელზე—ნორვეგიის პრემიერ-მინისტრ იოჰან ნიუგორდსვოლდისაგან, პოლონეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან ვესლავისაგან, პოლონეთის დემოკრატიული პარტიის (სტრონიცტვო დემოკრატიჩნე) გამგეობისაგან, ბელგიის პრემიერ-მინისტრ პიერლოსაგან, რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გენერალ სანატესკუსაგან, კანადის პრემიერ-მინისტრ მაკენზი კინგისაგან; ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ პ. ფრეზერისა, იუგოსლავიის სამეფო მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ შუბაშიჩისა, ჩეხოსლოვაკიის ნაციონალური თავდაცვის მინისტრ ბ-ნ იან მასარიკისა, თურქეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ სარაჯოღლუს, პოლონეთის გლეხთა პარტიის სტრონიცტვო ლუდოვეს ხელმძღვანელებს, ბ-ნ სტანისლავ კოტეკ-აგროშევსკისა და ბ-ნ იან გრუბეცკისაგან;

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ მოლოტოვის სახელზე—ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის ბ-ნ ლ. რ. სტეტინიუსისა, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნ ოსუბკა-მორავსკისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ჰასან საკასაგან (საკდესი).

## დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ჩერჩილისაგან მარშალ სტალინს

უდიდესი სიამოვნებით გილოცავთ საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის წლისთავს. ვუსურვებ თქვენს ქვეყანას და პირადად თქვენ ყოველგვარ წარმატებას როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს, და ვლოცულობ იმისათვის, რომ კავშირი ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის მრავალი სიკეთის წყარო იყოს ჩვენი ორივე ქვეყნისათვის, გაერთიანებული ერებისა და მთელი მსოფლიოსათვის.

## ბ-ნ იდენის წერილი ვ. მ. მოლოტოვისადმი

წელს მე განსაკუთრებულ სიამოვნებას განვიცდი, ბ-ნო მოლოტოვ, როცა მისი უდიდებულესობის მთავრობის სახელით გიგზავნით წერილს კეთილი სურვილებით საბჭოთა ნაციონალური დღესასწაულის გამო. ეს წელი ყველაზე უფრო სამახსოვრო წელია ჩვენი ორი ქვეყნის მოკავშირეობრივ ურთიერთობაში. წითელი არმიის გამარჯვებებს აღმოსავლეთში დაერთო მოკავშირეთა არმიების გამარჯვებანი დასავლეთში. ამ მოვლენებმა საბოლოო დამარცხების პირას მიიყვანეს ჩვენი საერთო მტერი და კიდევ ერთი უკანასკნელი დაძაბული ღონისძიება საკმაო იქნება მის დასამხობად. ამავე დროს შეხვედრამ მოსკოვში განამტკიცა და გააღრმავა მეგობრობა საბჭოთა კავშირსა, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, რომლებზედაც ესოდენ დიდად არის დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი ბედნიერება. მე ვიცი, რომ დიდი ბრიტანეთის ხალხი ერთსულოვანია მისი უდიდებულესობის მთავრობასთან საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისათვის წარმატებისა და მომავალი გაფურჩქვნის სურვილებში.

## მის აღმატებულებას მიხეილ ივანეს-ძე კალინინს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

თქვენი ეროვნული დღესასწაული კვლავ სასიამოვნო შესაძლებლობას მაძლევს გამოგიცხადოთ თქვენ ჩემი სახელით და ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სახელით ჩვენი გულითადი, ღრმა გრძნობით გამსჭვალული მოლოცვები. ყველგან ჩვენს სამშობლოში და განსაკუთრებით ჩვენი ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც საბჭოთა არმიების ძლევამოსილი შეტევის მეოხებით უკვე განთავისუფლებულია და ჩვენ დაგვიბრუნდა, საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულ დღესასწაულს სიხარულითა და მადლობით იდღესასწაულებენ. ჩვენ სულითა და გულით ვისურვებთ, რომ საბოლოო გამარჯვებამ საშუალება მისცეს თქვენსა და ჩვენს ქვეყნებს, რაც შეიძლება მალე დაუბრუნდნენ ნორმალურ პირობებს და ახალ მშვიდობიან და ბედნიერ თანამშრომლობას.

დ-რი ედუარდ ბენეში

## გენერალისიმუს ჩან კაი-შის დეპეშა მ. ი. კალინინისადმი

## მის აღმატებულებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბატონ კალინინს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავის დღეს ჩინეთის მთავრობისა და ხალხის სახელით უაღრესად მხურვალედ მოგილოცავთ თქვენ და თქვენი სახით თქვენი ქვეყნის მთავრობასა და ხალხს, უწრფელესად ვუსურვებ მთელ საბჭოთა კავშირს ბედნიერებასა და აყვავებას, ხოლო თქვენი ქვეყნის გმირ არმიებს—გამარჯვების უსწრაფესად დამთავრებას.

ძიან ჯუნ ჯენი

## მის აღმატებულებას ბ-ნ კალინინს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

ოქტომბრის რევოლუციის 27-ე წლისთავის გამო ბედნიერი ვარ მხურვალე მოლოცვა გიძღვნათ, თქვენო აღმატებულებავ, და სულითა და გულით ვისურვო მეგობრული საბჭოთა კავშირის ხალხთა ბედნიერება და აყვავება.

ინენიუ

## მიხეილ ივანეს-ძე კალინინს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ეროვნული დღესასწაულის გამო გთხოვთ, ბ-ნო თავმჯდომარევ, მიიღოთ ჩემი მოლოცვა და ბედნიერების საუკეთესო სურვილები. ამასთან ერთად გამოვთქვამ ფინელი ხალხის გულწრფელ სურვილს—განამტკიცოს ფინეთის მკვიდრი და მეგობრული, ორმხრივ ნდობაზე დამყარებული კეთილმეზობლური ურთიერთობა მის დიდ მეზობელთან.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ფინეთის მარშალი, ბარონი მანერჰაიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავი

## მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებას. საბჭოთა პატრიოტები ამრავლებენ შრომით მიღწევებს ფრონტის დასახმარებლად!

## საყოველთაო-სახალხო ზეიმი

### ოქტომბრის XXVII წლისთავის დღესასწაული ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში

მთელი საბჭოთა ქვეყანა, მთელი ჩვენი ხალხი 7 ნოემბერს აღნიშნავდა თავისი სახელმწიფოს შექმნის 27-ე წლისთავს, თავის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს, თავისი მიწა-წყლის სრულ განთავისუფლებას საძულველ გერმანელ დამპყრობთაგან. ბევრ ქალაქსა და სოფელში ამ დღეს შესდგა მასობრივი მიტინგები და კრებები. იმ საწარმოებში, სადაც მუშაობა არ შეწყვეტილა, სტალინურ ვახტზე დამდგარმა მუშებმა ახალი საწარმოო წარმატებანი მოიპოვეს, ახალი რეკორდები დაამყარეს. ამხანაგ სტალინის მოხსენებით აღფრთოვანებულმა ნოვაია ტულის ქარხნის მეტალურგებმა გეგმის გადამეტებით სამი ვაგონი თუჯი მოგვცეს. ბაქოს ნავთის მუშაკებმა ამ დღეს ფრონტზე გეგმის გადამეტებით გაგზავნეს ორი ეშელონი საავიაციო ბენზინი და საცხები ზეთი. კომბინატ „ვოროშილოვგრადუგოლის" მეშახტეებმა დაამთავრეს ქვანახშირის ხუთი შახტის აღდგენა. ვორონეჟის ოლქის ნოვი-უსმანის რაიონის კოლმეურნეებმა, რომლებმაც იკისრეს წითელი არმიის ფონდში დამატებით შეიტანონ ათასობით ფუთი სურსათი, 7 ნოემბერს მოაწყეს ბოსტნეულის შეგროვება დამამზადებელ პუნქტებში გასაგზავნად...

საღამოს ყველგან შესდგა მასობრივი სეირნობანი. სრულ 20 საათზე ფრონტზე ჩვენი მამაცი წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებათა და ზურგში მუშებისა, გლეხებისა და ინტელიგენციის დიდი წარმატებების აღსანიშნავად, გერმანელ დამპყრობთაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების აღსანიშნავად, მოსკოვთან ერთად, ამხანაგ სტალინის ბრძანებით, სალუტი მისცეს ლენინგრადმა, კიევმა, მინსკმა, პეტროზავოდსკმა, ტალინმა, რიგამ, ვილნიუსმა, კიშინიოვმა, თბილისმა, სევასტოპოლმა და ლვოვმა. ოცდაოთხჯერ იქუხეს მოსკოვის ზარბაზნებმა ჩვენი ისტორიული გამარჯვებების სადიდებლად. ასიათასობით მოსკოველმა უყურა ოქტომბრის სალუტის წარმტაც სანახაობას...

დიდებული და მორთული იყო ლენინგრადი ამ დღესასწაულის დღეს. ქუჩები სავსე იყო ლენინგრადელებით. ახლანდელი ოქტომბერი ლენინგრადში მკვეთრად განირჩევა შარშანდლისაგან, როდესაც მტერი კიდევ იდგა გმირი ქალაქის კედლებთან. საშინელი გაფთრებით უშენდა მტერი ასობით ყუმბარას ქუჩებსა და სახლებს. ახლა უკვე აღარა ჩანს სახლებზე ლურჯი ტრაფარეტები, რომლებიც მოსახლეობას ამცნობდნენ საარტილერიო დაშენის საფრთხეს. ბევრი სახლის ფასადი ხელახლა არის შეღებილი. შენობებში გულდასმით ასწორებენ ყუმბარებისაგან გამონგრეულ ადგილებს. ქალაქში სულ უფრო ნაკლებია ნანგრევები. დღეს ლენინგრადი გაანათა ათასობით ფარანმა. პროჟექტორთა სხივები კვეთავენ საღამოს ცას. 20 საათზე ჰაერში ავარდა მრავალი სხვადასხვა ფერის რაკეტი...

სევასტოპოლში სალუტს დილიდანვე ელოდებოდნენ. სრულ 20 საათზე იგრიალა პირველმა საარტილერიო ზალპმა. ხომალდები და სანაპირო ბატარეები, 1941-42 წელს ქალაქს რომ იცავდნენ, სალუტს აძლევდნენ წითელ არმიას, რომელმაც მთელი საბჭოთა მიწა-წყალი გაათავისუფლა გერმანელ მტარვალთაგან...

კიევის მცხოვრებნი ამ დღეს შეიკრიბნენ კრეშჩატიკზე, მარინის პარკში და ვლადიმერის გორაკზე. აქედან შორს მოჩანს დნეპრის გაღმა მხარე, საიდანაც ერთი წლის წინათ საბჭოთა მეომრები დნეპრში გამოვიდნენ და იერიშით გარეკეს ჰიტლერელი დამპყრობლები უკრაინის დედაქალაქიდან. სალუტის კაშკაშა შუქს, რომელმაც ყოფილი ბრძოლების ადგილები გაანათა, აღტაცებული შეძახილებით შეხვდა აქ შეკრებილი ათასობით კიეველი...

7 ნოემბერს ოქტომბრის დიდი დღესასწაული ასევე ზეიმით აღინიშნა მთელ ჩვენს ქვეყანაში. (საკდესი).



ნორჩ პიონერთა პარადი ქ. თბილისში 1944 წ. 7 ნოემბერს. ტრიბუნაზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხანაგები ზ. გოჩაშვილი, ს. იშხანოვი, მ. ჯაში, ი. ტიულენევი, მ. ბარამია, ა. რაფავა, ვ. ბაქრაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

## ასე უპასუხეს ბელადის მოწოდებას

დიდი სახალხო დღესასწაულის წინადღე შრომითი ზეიმის დღე იყო სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში. 6 ნოემბერს სტახანოველები სტალინურ ვახტზე დადგნენ და საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნეს საოქტომბრო შეჯიბრების ეს დღე.

მძლავრი საწარმოო აღმავლობა იყო საბარგო-სავაგონო საამქროში. სახელგანთქმულმა მექვაბემ ამხ. გ. გეწაძემ დღიური გეგმა 1466 პროცენტით შეასრულა. მისმა კოლეგამ ამხ. დ. კუპავამ ამ დღეს თითქმის რვა ნორმა გამოიმუშავა. მჭედლებმა ამხ. გ. არუსტნოვმა, ქ. ხარჩილავამ ურომ მცემლებთან ამხ. კ. მკერვალიშვილთან და ვ. ბახტაძესთან ერთად დღიური გეგმა 400-431 პროცენტით შეასრულეს. ორმაგად და უფრო მეტადაც შეასრულეს ამ დღეს ნორმები ზეინკლებმა ამხ. ქ. ვასილიევმა, ა. მარგველაშვილმა, ნ. ჩოჩელმა და სხვ.

ქარხნის კოლექტივმა ამ დღეს გეგმის გადამეტებით ათიათასობით მანეთის პროდუქცია მისცა საყვარელ სამშობლოს.

* * *

საღამოს 8 საათისათვის ქარხნის მთელმა კოლექტივმა თავი მოიყარა რეპროდუქტორებთან. რადიომ არემარეს მოჰფინა მშობლიური სტალინის ბრძნული სიტყვები. მუშები სულგანაბული უსმენენ ბელადსა და მასწავლებელს, რომლის გენიალური მხედართმთავრობით გმირი წითელი არმია მუსრავს ფაშისტთა ურდოებს. აი დამთავრდა მოხსენება. მოსკოველთა ტაშის გრიალს, სტალინის სახელობის ქარხნის მუშათა ტაში და „ვაშაც" შეუერთდა.

გაიმართა მიტინგი. ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან ქარხნის წარჩინებული ადამიანები.

— საბჭოთა მუშის სიტყვას ვიძლევით, — განაცხადა საელმავლო საამქროს კოლექტივის სახელით გამოსულმა ამხ. მ. კუპრავამ,— რომ ბელადის ისტორიული მოხსენების პასუხად ერთი-ორად გავზრდით შრომის ნაყოფიერებას.

მიტინგზე გამოვიდნენ ქარხნის ფრონტული ბრიგადების ხელმძღვანელები: ლ. დემეტრაშვილი, ვ. ბექუაშვილი, ი. ბადრიძე, ს. გელენიძე და მ. პაშკევიჩი. ფრონტული ბრიგადები სტახანოვურ ვახტზე დადგნენ.

საბარგო-სავაგონო საამქროს ოსტატმა ამხ. დ. გეგეშიძემ ვალდებულება იკისრა ნოემბერში საწარმოო სპეციალობანი შეასწავლოს 40 ახალგაზრდა მუშას. საქვაბე საამქროს ბრიგადირმა ამხ. ი. სუხარევმა იკისრა გეგმის ზევით შეაკეთოს ერთი ორთქლის ქვაბი. ახალი ვალდებულებები იკისრეს მექვაბე ი. მაჩაიძემ, ხარატებმა ი. ჭუმბურიძემ, ნ. ხაჩილაშვილმა, ვ. სიხარულიძემ და სხვ.

* * *

9 ნოემბერს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში შესდგა კრება, მიძღვნილი ამხანაგ ი. ბ. სტალინის საოქტომბრო მოხსენებისადმი.

კრების მონაწილენი გაეცნენ დიდი სტალინის მოხსენებას და ბრძანებას.

პირველად სიტყვა ეძლევა საამწყობო საამქროს უფროსს ამხ. კ. სარალიძეს.

— კვლავაც ვამრავლოთ წითელი არმიის გამარჯვებანი,—ამბობს იგი,—მივცეთ მეტი პროდუქცია ფრონტსა და სამშობლოს. ჩვენი საამქროს კოლექტივი განამტკიცებს საოქტომბრო შეჯიბრებაში მიღწეულ წარმატებებს და ბელადის მოხსენებისა და ბრძანების პასუხად ნოემბერში ერთ ორთქლმავალს შეაკეთებს გეგმის გადამეტებით.

გეგმის ზევით ნოემბერში ერთი ორთქლმავლის შეკეთება იკისრა ბრიგადის წევრების სახელით საბუქსო ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. ნ. გეჯაძემაც.

— ჩვენი საამქროს კოლექტივი პირობას სდებს 20 ნოემბრისათვის შეასრულოს თვიური გეგმა,—ამბობს ზეინკალი ამხ. ე. პეტროსიანი.

კრებაზე წაკითხულ იქნა სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისრის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სადღესასწაულო მისასალმებელი დეპეშა ქარხნის კოლექტივისადმი.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა იმუშაოს კიდევ უკეთესად და დღითი-დღე მეტი პროდუქცია მისცეს ფრონტსა და სამშობლოს.

## დიდი მამობილიზებელი ძალა

**გორი** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა. მშრომელები გულდასმით იხილავენ და ეცნობიან დიდი **სტალინის** ისტორიულ მოხსენებასა და ბრძანებას.

ამხანაგ სტალინის ბრძნულ მოხსენებას აღფრთოვანებით შეხვდნენ სოფელ კარალეთის კოლმეურნეობის წევრები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. კ. ფიქავამ განაცხადა: — დიდია ამხანაგ სტალინის სიტყვების მამობილიზებელი ძალა. ჩვენმა მშობლიურმა ბელადმა მაღალი შეფასება მისცა კოლმეურნე გლეხობის შრომას ფრონტისა და სამშობლოსათვის დასახმარებლად. ეს გვავალებს მეტი სურსათი მივაწოდოთ ფრონტს, მეტი დახმარება გავუწიოთ წითელ არმიას, რომელმაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან. ჩვენი ვალდებულება ასეთია: წარმატებით დავამთავროთ სასოფლო-სამეურნეო წელი და მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს.

ბელადის მოხსენებისა და ბრძანების საპასუხოდ ახალი ვალდებულებები იკისრეს გორელმა რკინიგზელებმა. სალიანდაგო მეურნეობის მუშებმა თ. გელიაშვილმა, ა. ბერიკაშვილმა, გ. ხაზაროვმა და სხვებმა პირობა დასდეს, რომ თვიურ საწარმოო გეგმას 150-200 პროცენტით შეასრულებენ.

რკინიგზის მუშაკთა კოლექტივმა იკისრა — იმუშაოს უავარიოდ, ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის გეგმა შეასრულოს ვადამდე და გადამეტებით.

ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ხელთუბნის, ხიდისთავის, ტყვიავისა და მეჯვრისხევის კოლმეურნეობებმა.

**შ. ჩუბინიძე,**

## უწყვეტ ნაკადად მოედინება...

ვრცელ და ნათელ საამქროებში ინდუსტრიული ტექნიკის, სოციალისტური შრომის ნამდვილი ზეიმია და ამ ზეიმში იბადება თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელი სიახლის ნიმუში, შესანიშნავი და სრულყოფილი საბჭოთა იარაღი, რომელიც უწყვეტ ნაკადად მიედინება.

შუშაბანდსახურავიან საამქროთა კედლებზე, ჭერის ლითონის კონსტრუქციებზე, დაზგათა წყებებს შორის გასასვლელებთან ახლახან გამოფენილ ლოზუნგებზე სწერია:

— ახალი შრომითი მიღწევებით ვუპასუხოთ ბელადის მოხსენებას!

— დიდი სტალინის მოხსენება გვრაზმავს ახალი მიღწევებისათვის! ყველანი ჩავებით სოციალისტურ შეჯიბრებაში!

ამ ვეებერთელა ქარხნის ყველა საამქროში გაჩაღებულია სტახანოველთა დაძაბული, მაღალნაყოფიერი, ქებამესხმული შრომა.

აი საამქრო, სადაც უფროსად არის ამხ. შ. კიკნაძე. ამხ. ა. პატარიძემ აქ დღეს გეგმა 275 პროცენტით შეასრულა. მისმა ამხანაგმა ვ. კირიჩენკომ კი ყველას გაასწრო, გეგმა 675 პროცენტით შეასრულა. მეზობელ საამქროს სტახანოველებმა ამხ. ვ. მაჩაიძემ გეგმა 1.404 პროცენტით შეასრულა, გ. ნაზაროვმა—1.100 პროცენტით, ვ. შეველიოვმა —1.230 პროცენტით.

გუშინ, 9 ნოემბერს ქარხნის საამქროებში შესდგა მიტინგები, მიძღვნილი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენებისადმი მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1944 წლის 6 ნოემბერს. ხალხმრავალი მიტინგი იმ საამქროში, სადაც უფროსად არის ამხ. ა. საპელნიკი, გახსნა საამქროს პროფორგანიზაციის თავმჯდომარემ ამხ. შახპარუნიანმა. სულგანაბული უსმენდნენ მუშები ბელადის მოხსენებას, რომელიც მიტინგზე წაიკითხა საამქროს უფროსის მოადგილემ ამხ. ზაჩინიაევმა.

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს საამქროს საუკეთესო ადამიანებმა ი. ხმარამ, დ. ჩუმაკმა, ოსტატმა ა. ლაპილკინმა და სხვ.

სტახანოველმა ი. ხმარამ განაცხადა, რომ დიდი ბელადის, ამხანაგ **სტალინის** ის მაღალი შეფასება, რომელიც მან მისცა ჩვენი მუშათა კლასის დამსახურებას საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, ახალი შრომითი მიღწევებისათვის აღაფრთოვანებს ყველა მუშასა და ინჟინერ-ტექნიკოსს.

— ფიცი დავდოთ ამხანაგებო,—სთქვა ორატორმა,—რომ ამიერიდან კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობის ტემპებს, შევინარჩუნებთ საოქტომბრო შეჯიბრებისას მოპოვებულ მიღწევებს და ქმედით დახმარებას გავუწევთ ჩვენს წითელ არმიას მტრის ურდოების საბოლოო განადგურებაში.

საამქროს კოლექტივმა იკისრა ახალი საწარმოო ვალდებულებები: ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულოს მოცემული საწარმოო დავალებები, გაზარდოს ახლადათვისებული პროდუქციის გამოშვების ტემპები, უზრუნველჰყოს მაღალხარისხოვანი პროდუქციით ჩვენი წითელი არმიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და გააუმჯობესოს გეგმის შესრულების ყველა მაჩვენებელი. საამქროს კოლექტივმა წინადადებით მიმართა ქარხნის დანარჩენ საამქროებს განაგრძონ საოქტომბრო გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ახალი წლისთვის ახალი საწარმოო მიღწევების მოსაპოვებლად.

ასეთივე აღფრთოვანებით ჩატარდა მიტინგები აგრეთვე ქარხნის დანარჩენ საამქროებში.

* * *

მიტინგების შემდეგ საამქროებში ახალი ცვლები შეუდგნენ მუშაობას. ხელახლა აგუგუნდა მთელი ქარხანა, ამოქმედდნენ პნევმატიკური უროები, ათასნაირი დაზგები, ჩარხები.., და კვლავ დაიწყო დენა უწყვეტ ნაკადად იმ პროდუქციამ, რომელიც ასე საჭიროა მტრის უსწრაფესად შესამუსრავად.

## საბჭოთა მწერლის მხატვრული შთაგონება

საქართველოს საბჭოთა მწერლების მიტინგი, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის მოხსენებისადმი — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავი" გახსნა ამხ. დ. ბენაშვილმა. მწერალმა დ. შენგელაიამ წაიკითხა ამხანაგ სტალინის მოხსენება. სიტყვები წარმოსთქვეს შალვა დადიანმა, ლეო ქიაჩელმა, სანდრო შანშიაშვილმა, კონსტანტინე ჭიჭინაძემ.

— მახსოვს 1942 წლის შემოდგომა, — სთქვა ლეო ქიაჩელმა, — მტერი ცდილობდა მოსკოვს გარს შემორტყმოდა. გერმანელი ავაზაკები სტალინგრადში შეიჭრნენ, კავკასიონს მოადგნენ. ჩვენი სამშობლო მაშინ უმძიმეს დღეებს განიცდიდა. მოსკოვის თავზე ფაშისტი სვავები დათარეშობდნენ და ყუმბარები ფეთქდებოდა. ამ დროს გაისმა ამხანაგ სტალინის მშვიდი, დამაჯერებელი, მტერზე გამარჯვების რწმენით აღსავსე მოხსენება. დიდმა ბელადმა მისთვის ჩვეული ნათელი ანალიზით დაგვიხატა ჩვენი გამარჯვების პერსპექტივა.

— გავიდა ორი წელი,—განაგრძო ლ. ქიაჩელმა.—ჩვენი ქვეყანა გაიწმინდა ჰიტლერელ დამპყრობთაგან წითელი არმია ფაშისტებს მათსავე ბუნაგში ანადგურებს და როგორც წინა წლებში, დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი კვლავ გამოვიდა თავისი დინჯი, დამაჯერებელი, ბრძნული მოხსენებით, რომელშიც შეჯამებულია ისტორიულ გამარჯვებათა შედეგები და დასახულია მტრის საბოლოო განადგურების დიადი პროგრამა. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირმა მსოფლიო გადაარჩინა ფაშისტურ დამონებას. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები ვამაყობთ, რომ სტალინურ ეპოქაში ვცხოვრობთ.

დრამატურგმა ს. შანშიაშვილმა მოუწოდა ქართველ მწერლებს შექმნან სტალინის ეპოქის ღირსი ნაწარმოებები, რომ შთამომავლობას დარჩეს ნათელი სურათი იმისა, როგორ იბრძოდა და იმარჯვებდა საბჭოთა ხალხი დიდი სტალინის გენიალური წინამძღოლობით.

მწერალმა კ. ჭიჭინაძემ ილაპარაკა იმ ბრწყინვალე პერსპექტივებზე, რომლებიც დიდმა ბელადმა დაგვისახა.

— წარსულის გამოცდილებით ვიცით, — სთქვა კ. ჭიჭინაძემ, — როგორი სიზუსტით სრულდება ჩვენი მშობლიური ბელადის სიტყვა. დიდი სტალინის ყოველი სიტყვა კანონიერი სიამაყის გრძნობით ავსებს ჩვენს გულს და ვამბობთ:

„და სამუდამოდ იყოს ქებული
და წარუშლელი დარჩეს მარადის
გზა ელვასავით განათებული
გორის ციხიდან კრემლის კარამდის!"

## თბილისის პიონერთა პარადი

7 ნოემბერს დილიდანვე დედაქალაქის ქუჩებს ბავშვთა მხიარული ჟრიამული მოედო. კოლონებად დაწყობილი პიონერები მხნე ნაბიჯით მიემართებიან ბერიას მოედნისაკენ, რომელიც საზეიმოდ არის მორთული.

მთავრობის ტრიბუნაზე არიან ამხანაგები: ვ. მ. ბაქრაძე, არმიის გენერალი ი. ტიულენევი, მ. ბარამია, ა. რაფავა, მ. ჯაში, ს. იშხანოვი, ე. ჩერქეზია, მ. გოჩაშვილი, ვ. ხატიაშვილი, მ. ბალავაძე, გ. იმნაიშვილი და სხვები.

ფართო მოედანზე ოთხკუთხად დაწყობილი არიან ნახიმოვის სასწავლებლის აღსაზრდელები და ლენინის რაიონის პიონერთა კოლონები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბალავაძე პატაკს იღებს პარადის სარდლის ამხ. ვ. თარხანოვისაგან, ჩამოუვლის პიონერთა კოლონებს, მიესალმება მათ და შემდეგ მოკლე სიტყვით მიმართავს პარადის მონაწილეებს.

პარადს ხსნიან ნახიმოვის სასწავლებლის აღსაზრდელები. მხედრული ნაბიჯით ჩაუარეს ტრიბუნას მომავალმა მეზღვაურებმა.

ნახიმოველებს ლენინის რაიონის პიონერთა კოლონები მიჰყვებიან. კოლონას მიუძღვის მანქანა, გაფორმებული თემაზე: კავკასიის დაცვა. დაუსრულებლივ მოედინებიან თბილისის პიონერები, მეზღვაურების, სანიტრების ფორმაში გამოწყობილი მოსწავლეები. კოლონების თავზე აღმართულია დროშების ტყეები, ტრანსპარანტები, დიდი სტალინისა და მისი თანამებრძოლების პორტრეტები, მოაქვთ შესანიშნავად გაფორმებული მაკეტები.

აი მოედანზე შემოვიდა კიროვის რაიონის პიონერთა კოლონა. წინ მოაქვთ კიროვის დიდი პორტრეტი, მას მოჰყვება ორი პიონერი ყვავილების უზარმაზარი კალათით. ეს ყვავილების კალათი ტრიბუნაზე მყოფ ამხანაგებს მიუძღვნეს. მოედანზე შემოსრიალდა მანქანა: კავკასიის მთების მწვერვალზე სდგას წითელარმიელი შაშხანითა და დროშით, გვერდზე უდგანან ხმალამოწვდილი პიონერები. მთების სიღრმეში გამოსახულია დიდი მედალი „კავკასიის დაცვისათვის". მანქანაზეა წარწერა: დიდება კავკასიის დამცველებს. გაუსწორდა თუ არა მანქანა ტრიბუნას, მთების გულიდან ამოიმართა ამხ. ლ. ბერიას დიდი პორტრეტი.

თვითეული რაიონის პიონერთა კოლონები საკუთარი და საინტერესო თემატიკით მოვიდნენ პარადზე.

ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა პარადი, რომელშიც 20 ათასზე მეტმა პიონერმა მიიღო მონაწილეობა.

პარადი დამთავრდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა გამოსვლით.

## როცა ვუსმენდი მშობლიურ ბელადს!

როგორც ცალკეული ადამიანის, ისე ერისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში არის მეტად მაღალი განცდის წუთები, როდესაც გული, უკეთილშობილესი სიხარულით აღსავსე და სულიერი მეობა იმყოფება თითქო უდიდეს მადლმოსილების კვარცხლბეკზე.

ასეა ახლა ჩვენში, ჩვენს სათაყვანო სამშობლოში, დიად საბჭოთა კავშირში. აქ ამ დღეებში გულის მასალბუნებლად გაისმა დიდი ბელადის ბრძნული, სადღესასწაულო სიტყვა.

ამ სიტყვაში არის ჩაქსოვილი ჩვენი ხალხის სიამაყე, მისი ძლევამოსილებითა და მყარქვიტკირობით გამოწვეული. აქ არის კიდევ უფრო ნათელი შეგრძნობა საკუთარი გმირული მოქმედებისა როგორც ბრძოლის ველზე, ისე ზურგში.

აქ არის სიმართლე, სიმართლე და კიდევ სიმართლე, გენიოსი ადამიანის მიერ მისთვის ჩვეულის სისადავით ყველასათვის გასაგებად აღლაღებული.

და აქ არის უტყუარი ისტორია განვლილი მძაფრი წლებისა, საოცარი სიაშკარავით გაშუქება მომავალი პერსპექტივებისა.

დიდი სტალინის ყოველი გამოსვლისას მხნევდები მომავლისათვის კიდევ მეტი ენერგიით სამუშაოდ და გრძნობ, რომ ყველა დარგს მოელის კიდევ მეტი აღორძინება, კვლავ წინისაკენ ნაბიჯის გადადგმა და აყვავება.

ასე მხნედ და იმედიანად არის განწყობილი დღეს ჩვენი მწერლობაც.

გიხარია, რომ ომის დროს მას თავის მხრით არც თუ ცუდად უმუშავნია და მომავლისათვის კი მისცემია კიდევ უფრო დიდი სტიმული საუკეთესო ნაწარმოებთა შესაქმნელად.

მაშ, ასე გახარებულნი, მხნენი და მტკიცენი ჩავებათ კვლავ ჩვენს წმიდა მოვალეობათა შესრულებაში, ხოლო მზიერობა ჩვენი პარტიისა და ხელისუფლებისა, ბრწყინვალება დიდი ბელადის კალთისა გვფარავდეს ჩვენ!

**შალვა დადიანი**

## ბელადის მოხსენება ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის აღგვაფრთოვანებს

სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის — საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორის — ყველა საამქროში მუშებმა, ოსტატებმა, ინჟინრებმა სიხარულის მღელვარებით მოისმინეს ამხანაგ სტალინის მოხსენება. ავტოქარხნელთა აზრი გამოსთქვა სამჭედლო საამქროს უფროსმა ამხ. ლისნიაკმა.

— ამხანაგმა სტალინმა მოკლედ და ნათლად ილაპარაკა მამაცი წითელი არმიის გამარჯვებათა შესახებ. საბჭოთა პატრიოტების კანონიერი სიამაყის გრძნობით მივიღეთ ჩვენ იმ მშრომელთა მაღალი შეფასება, რომლებმაც უზრუნველჰყვეს ჩვენი მეომრების პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით აღჭურვა და რომლებმაც ეკონომიური გამარჯვება მოიპოვეს ჰიტლერულ გერმანიაზე. ამ წარმატებებში არის ჩვენი შრომის წილიც. სტალინის სახელობის ავტოქარხანამ გამოუშვა ათეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია, გეგმის გადამეტებით, პირნათლად შეასრულა თავისი საოქტომბრო ვალდებულებანი. რათა დავეხმაროთ წითელ არმიას, რომ მან განახორციელოს ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანა ფაშისტური გერმანიის უსწრაფესი განადგურებისა, ჩვენი კოლექტივი პირობას იძლევა გაადიდოს პროდუქციის გამოშვება ფრონტისათვის, დააჩქაროს ახალი პირველხარისხოვანი მანქანების ათვისება.

სტალინის სიტყვები ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის აღაფრთოვანებს ყოველ საბჭოთა პატრიოტს. ამის შესახებ საწნეხე საამქროს ოსტატმა ამხ. კოსტენკომ სთქვა:

— ჩვენ ყველანი, საბჭოთა ადამიანები, ერთი მიზნისაკენ მივისწრაფვით — აღვმართოთ გამარჯვების დროშა ბერლინში. ამ დიადი მიზნისათვის არ დავიშურებთ ჩვენს ძალებს. გაათკეცებული ენერგიით დავეხმარებით გმირ წითელ არმიას მისი ისტორიული მისიის განხორციელებაში. ამხანაგ სტალინის მოხსენებამ განამტკიცა ჩვენი რწმენა, რომ მსოფლიო სამუდამოდ განთავისუფლდება ფაშისტური შავი ჭირისაგან. (საკდესი).



მიტინგი ნ ქვეგანაყოფში. სურათზე: პოდპოლკოვნიკი ივანოვი კითხულობს ამხანაგ სტალინის მიერ მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1944 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე გაკეთებული მოხსენების ტექსტს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

## ყველაფერი ჩვენი საბოლოო გამარჯვებისათვის!

თბილისის რადიოქარხნის ღამის ცვლის მუშები მოუთმენლად ელოდნენ 6 ნოემბერს, საღამოს, მოსკოვიდან ტრანსლაციის დაწყებას. სრულ 8 საათზე ყველა უკვე რეპროდუქტორთან შეიკრიბა. დაიწყო გადმოცემა. რადიოში გაისმა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის დინჯი, ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი ხმა.

უდიდესი ყურადღებითა და აღფრთოვანებით მოისმინეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორის, უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძნული მოხსენება.

როგორც კი დამთავრდა ამხანაგ სტალინის მოხსენება, აქვე, რეპროდუქტორთან გაიმართა სახელდახელო მიტინგი. დიდი ბელადის სიტყვებით აღფრთოვანებული ადამიანები გამოსთქვამდნენ თავიანთ აღტაცებას და სიხარულს.

პირველი გამოვიდა საამქროს უფროსი ამხ. გ. კოკიანოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში მაღალი შეფასება მისცა ზურგის მუშაკთა როლს საბჭოთა ქვეყნის დიად გამარჯვებებში. ასეთი მაღალი შეფასების საპასუხოდ კიდევ უკეთესად უნდა ვიმუშაოთ, გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი.

ოსტატმა ვ. ილურიძემ, რომელიც დაჯილდოებულია მედლით „კავკასიის დაცვისათვის", განაცხადა, რომ ამხანაგ სტალინის მოხსენებით აღფრთოვანებული, იგი იმავე საღამოს დადგებოდა სტახანოვურ ვახტზე და დღიურ დავალებას 200 პროცენტით შეასრულებდა. მართლაც მან დავალება გადაჭარბებით — 210 პროცენტით განაღდა. სტახანოვურ ვახტზე დადგა აგრეთვე ზეინკალი ა. ოდიბაშვილი.

სახარატო საამქროს ოსტატმა გ. ქევხიევმა თავისი საამქროს სახელით ვალდებულება იკისრა ნოემბრის გეგმა 130 პროცენტით შეასრულოს.

